ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №721279

ნომერი: AR1134109

თარიღი : 24.05.2013

გაცემის თარიღი : 13.06.2013

გაცნობის თარიღი : 14.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ თავაძე პ/ნ 61003002313
- ბათუმი თამარ მეფის დას. N 2 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 ოქტომბრის #427566 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 24 მაისს #არ1134109 განცხადებით მომართა მოქ. მიხეილ თავაძემ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 31 ოქტომბრის #427566 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად შპს „რიო“–სთან ერთად შპს „თერმარსენალი“–ს დაფიქსირება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის #427566 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის შესახვევი #4–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #005/004) შეთანხმდა სასაწყობე საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. საპროექტო მიწის ნაკვეთი, წარმოდგენილი საჯარეო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, წარმოადგენს შპს „რიო“–ს საკუთრებას და შესაბამისად სამსახურის მიერ გამოცემულ ინიდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „რიო“. განმცხადებლის მიერ დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი იქნა შპს „რიო“–სა (საიდენტიფიკაციო კოდი: 202056693) და შპს „თერმარსენალი“–ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202283242) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერით დამოწმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ორივე საზოგადოება თანხმობას აცხადებს არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემულ სამშენებლო დოკუმენტაციაში დამკვეთად დაფიქსირდეს როგორც შპს „რიო“ ასევე შპს „თერმარსენალი“.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შპს „რიო“ თანხმობას აცხადებს სამშენებლო დოკუმენტაციაში მეორე დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,თერმარსენალი“, რომელსაც აქვს ასევე ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის -ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის #427566 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად დაემატოს შპს „თერმარსენალი“(საიდენტიფიკაციო კოდი: 202283242);

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის #427566 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7);

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge